



ფესტივალის, „რწმენა და სიტყვა“, ფარგლებში გაიმართა პანელური დისკუსია „ფანარის ქმედებები უკრაინაში: ასახვა მედია სივრცეში“



2021 წლის 20 ოქტომბერს, IX საერთაშორისო ფესტივალის – „რწმენა და სიტყვა“ ფარგლებში, რომელიც 18-22 ოქტომბერს მოსკოვის მახლობლად „კლიაზმას“ პანსიონატში ტარდება, მთავარი საერთაშორისო ღონისძიება გაიმართა – პანელური დისკუსია „ფანარიონის ქმედებები უკრაინაში: ასახვა მედია სივრცეში“.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს: მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების მართლმადიდებელთაშორისი ურთიერთობების მდივანმა დეკანოზმა იგორ იაკიმჩუკმა; ჟურნალის „თომა უკრაინაში“ (Фома в Украине) მთავარმა რედაქტორმა პროტოდიაკონმა ალექსანდრე კარპენკომ; უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პერსს-სამსახურის მეთაურმა ვ.ს. ანისიმოვმა;

მოლდოვის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა ჟურნალ „რწმენის საკურთხეველი“-ს (Алтарь веры) მთავარმა რედაქტორმა დეკანოზმა ოქტავიანე მოშინმა; ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებმა და უცხოელმა ჟურნალისტებმა. თავიანთ გამოსვლებში ექსპერტები ბოლო წლების განმავლობაში მართლმადიდებელთაშორისი ურთიერთობების ყველაზე პრობლემურ ასპექტებს შეეხნენ.

გამოსვლის წინ, დეკანოზმა იგორ იაკიმუკმა ფესტივალისადმი „რწმენა და სიტყვა“ კომინიოვისა და სრულიად მოლდოვის მიტროპოლიტის ვლადიმერის მილოცვა გააჟღერა. მამა იგორმა ძირითადი მედია საშუალებები დაასახელა, რომლებიც როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, ასევე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ოფიციალურ პოზიციას აშუქებენ, რომლებიც უკრაინის საკითხის ინტერპრეტაციას ეძღვნება და აგრეთვე მეტადრე სადისკუსიო თემები დაასახელა, რომლებიც კონსტანტინეპოლის მიერ სქიზმატური ჯგუფების წარმომადგენელთა ლეგალიზაციასთან დაკავშირებით საინფორმაციო სივრცეშია წამოჭრილი.

პროტოდიაკონმა ალექსანდრე კარპენკომ აღნიშნა, რომ უკრაინაში მართლმადიდებლური მედია ერთადერთ საინფორმაციო რესურსად რჩება, რომელიც მოგვითხრობს ტაძრების ჩამორთმევასა და უკანონო გადარეგისტრირებაზე, სასულიერო პირებისა და მორწმუნეების უფლებების დარღვევაზე.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პრეს-სამსახურის უფროსმა ვ. ს. ანისიმოვმა უკრაინაში ე.წ. „გამაერთიანებელი კრების“ ქმედებებს „დაუსჯელი დანაშაული“ უწოდა. „ისტორიული კონტექსტისა და კონსტანტინეპოლის ანტიკანონიკური ქმედებების ახსნასთან ერთად, დღეს უაღრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან საკითხის სამართლებრივად, კანონიერად გადანყვეტის მიღწევა. უაღრესად მნიშვნელოვანია სამართლიანობის აღსადგენად სახელმწიფო მექანიზმების გამოყენება, ხოლო ჟურნალისტიკა უნდა დაეხმაროს სანდო ინფორმაციის გავრცელებას“, – განაცხადა მან თავის გამოსვლაში.

სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა, დეკანოზმა ნიკოლოზ პეიოვიჩმა მოკლემეტრაჟიანი ფილმი წარმოადგინა – „ქრისტეს გამარჯვებამდე“, რომელიც ჩერნოგორიაში მართლმადიდებელი სერბების მართლმადიდებლური სინმინდეებისა და ტრადიციული ფასეულობებისთვის დგომის ყველაზე მნიშვნელოვან ეპიზოდებს ეძღვნება. „მე დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთის სამართალი გაიმარჯვებს უკრაინაში ისევე, როგორც მან ჩერნოგორიაში გაიმარჯვა, მაგრამ ამას დიდი ძალისხმევა სჭირდება“, – აღნიშნა დეკანოზმა ნიკოლოზ პეიოვიჩმა.

ბულგარეთის მართლმადიდებლური საგანმანათლებლო საზოგადოების ხელმძღვანელმა, ჟურნალისტმა იანინა ალექსეევამ თავის გამოსვლაში წამოჭრა ბულგარეთის ეკლესიის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან ურთიერთობის ისტორია, და ასევე წარმოადგინა უკრაინის საკითხზე მიძღვნილი ახალი აკადემიური პუბლიკაციები, რომლებიც რუსულ ენაზე აწი უნდა ითარგმნოს.

ჟურნალისტი საბერძეთიდან პ. დოკუ კომენტარით გამოვიდა: „მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს ქვეყანაში

ბერძნული მასმედია კონსტანტინეპოლის პატრიარქის ბართლომეოსის პოზიციას იკავებს. და მათ უმეტესობას არ სურს რეალურად გაიგოს თუ რა ხდება უკრაინაში. მეორე მხრივ, ევროპული მასმედია საერთოდ არ იცნობს უკრაინის საკითხს. მათი უმეტესობა ჩვენ მიმართ საკმაოდ მტრულადაა განწყობილი. ნება მომეცით ჩემი პირადი მოსაზრება გაგიზიაროთ, რადგან მე ვცხოვრობ ზუსტად იქ, იმ ადგილას, სადაც პატრიარქ ბართლომეოსის იურისდიქცია ვრცელდება; მე ვფიქრობ, რომ ის თავის გადანყვეტილებას არ შეცვლის. მას არ სჯერა დიალოგის, ეს ყველას უნდა ესმოდეს. მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ ის ბევრ ახალ პრობლემას შექმნის. მას არ სურს მიიღოს ის ფაქტი, რომ შეცდომებს უშვებს. და რუსეთის ეკლესიამ, უპირველეს ყოვლისა, ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივ აზრზე უნდა მოახდინოს გავლენა, რადგან შექმნილმა განხეთქილებამ რუსეთსა და საბერძნეთს შორისაც ბევრ საკითხში შექმნა პრობლემა“.

დისკუსიის დასასრულს, დეკანოზმა იგორ იაკიმჩუკმა ხაზი გაუსვა შეკრებილთა ერთსულოვნებას მართლმადიდებელთაშორის ურთიერთობებში. არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. „დღეს ჩვენ გვექონდა შესაძლებლობა დავრწმუნებულიყავით, რომ ჩვენს აზრს სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებშიც იზიარებენ. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი ძალისხმევა, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ ღვთის სამართალი მაქსიმალური რაოდენობის ადამიანამდე მივიტანოთ, თავის ნაყოფს იძლევა“, -- დაასკვნა სსკგ-ს წარმომადგენელმა.

ეკლესიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის

სინოდალური განყოფილება/

სსკგ-ს კომუნიკაციის სამსახური